ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

№ 2 1990

20 აპრილი

ქრონიკა

8 აპრილი

ღამის 12-სთ-ზე მთავრობის სახლის წინ, საქართველოს ეროვნულმა ფორუმმა, ერთობლივად სხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან დაიწყო გრანდიოზული დემონსტრაცია და მიტინგი 1989 წლის 4-9 აპრილის საყოველთაო ეროვნული გამოსვლებისა და 9 აპრილის სისხლიანი დარბევის მსხვერპლთა მოსახსენიებლად.

იგი გახსნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (სედპ) თავმჯდომარემ ი. წერეთელმა. სიტყვით გამოვიდნენ ზ. გამსახურდია, გ. ჯანტურია, თ. სუმბათაშვილი, ი. ბათიაშვილი და სხვ. შეკრებილთ მიმართეს უცხოეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. მიტინგი დასრულდა დილის 7 საათზე.

9 აპრილი

დღის 2 სთ-ზე სედპ-ის ინიციატივით მოეწყო მსვლელობა მთავრობის სახლიდან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობისაკენ, რომლის წინ გაიმართა საპროტესტო მიტინგი ლოზუნგით - ოკუპანტებო წაეთრიეთ საქართველოდან! გამომსვლელებმა ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდეს წითელ არმიაში სამსახურის სრული ბოიკოტისაკენ! მიტინგი 2 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, რის შემდეგაც მომიტინგენი დაიძრნენ ეროვნული სტადიონისაკენ. იქ გაიმართა ეროვნული ფორუმის პოლიტიკური მიტინგი. შეკრებილმა, დაახლოებით 60 ათასმა, კაცმა ერთხმად დაუჭირა მხარი ეროვნული ფორუმის პოზიციას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში. 9 აპრილის აღსანიშნავი აქციები გაიმართა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში.

10 აპრილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ქვილითაიამ გაამართა ბრიფინგი უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელზეც მან განაცხადა, რომ საქართველო ჯერ არ არის მზად დამოუკიდებლობისათვის.

12 აპრილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა წითელ არმიაში საგანგებოდ გაწვევის კამპანიისადმი მიძღვნილი საგანგებო კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ მეცნიერებათა აკადემიის, შემოქმედებითი კავშირების და ეროვნული ფორუმის წარმომადგენლები. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოუწოდეს ქართველ ახალგაზრდებს უარი თქვან საბჭოთა არმიაში სამსახურზე.

13 აპრილი

შეიგა საქართველოს ეროვნული ფორუმის სხდომა, რომელზეც განხილული იქნა სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება, რომელიც წარმოიქმნა 9 აპრილს, როდესაც ოსი მოსახლეობის ნაწილმა ხელი შეუშალა დაღუპულთა უკვდავსაყოფად მემორიალის დადგმას ქ. ცხინვალში.

ფორუმის გადაწყვეტილებით თუ კრემლის ხელისუფალნი უმოკლეს ვადაში არ შეწყვეტენ მსგავს პროვოკაციებს, ეროვნული ფორუმი საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს საყოველთაო გამოსვლებისა და გაფიცვებისაკენ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

14 აპრილი

19 სთ-ზე სედპ-მ მთავრობის სახლის წინა მოედანზე ჩაატარა მიტინგი. სიტყვით გამოვიდნენ: ი. წერეთელი, ს. სისი (ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია) და სხვები. გამომსვლელებმა განიხილეს და გააანალიზეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი. შემდეგ მომიტინგენი დაიძრნენ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდატურისაკენ, სადაც მიღებული ცნობის თანახმად, იმყოფებოდა ერთი დღის წინ დაკავებული მამუკა ბართაია, რომელმაც უარი თქვა საბჭოთა არმიაში სამსახურზე პოლიტიკური მოსაზრების გამო და მიატოვა სამხედრო ნაწილი. კომენდატურის წინ მოეწყო პიკეტი. ორი საათის განმავლობაში გაისმოდა - ოკუპანტებო წაეთრიეთ საქართველოდან! სამხედრო ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ გაენთავისუფლებინათ პატრიოტი ჯაბუკი მ. ბართაია.

18 აპრილი

18 აპრილს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურის ისტორიის საინიციატივო ჯგუფმა მოაწყო დისკუსია თემაზე: "ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ფორმები და მეთოდები. მომხს. ლოვარდ ტუხაშვილი. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ირაკლი წერეთელმა.





სურათზე: ოკუპანტების შტაბი. 9 აპრილი 1990 წ.

ბოიკოტი საბჭოთა არმიას

პართველო დედებო

ნუ

გასწირავთ შვილებს!

სედპ სამხედრო საქმეთა კომისია მუშაობს ყოველდღე

მისამართი: თევდორე მღვდლის 42

ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩა 29-ე სკოლის შენობა

ტელ. 95 27 02

ირაკლი ფელია

ჰელსინკი-2

"საერთო ევროპული სახლის" ნაჩქარევი მშენებლობა

საკაცობრიო ისტორიაში 1989 წელი უდიდესი გლობალური ძვრების წლად ჩაითვლება. ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ მთავრობები და პოლიტიკური რეჟიმები აღმოსავლეთ ევროპაში. იხევა ნამგად – ჩაქუჩით ნაქარგი "რკინის ფარდა", რომელიც ხანგრძლივი ანომალიაა ევროპისათვის. დაიწყო სოციალისტური ქვეყნების ბანაკის დაშლა. მიდის რა დათმობებზე ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ხაზით, კრემლი სიჯიუტეს იჩენს სსრკ – ის ერთიანობის საკითხში. ბუნებრივია, სანამ იმპერიას არ ჩამოსცლებია პირველი გარსი, მას უჭირს შეეგუოს მეორე გარსის ჩამოცლების მცდელობას. მოსკოვს იმედი აქვს, რომ დასავლეთისგან მიიღებს გარანტიებს რიგი დათმობების ფასად პრინციპით – "აქამდე კი, ამის იქით – არა!". ამიტომაც სურთ საბჭოებს რომ მაღე შეიქმნას ახალი ძალთა განლაგება, ახალი ევროპული სისტემა – საერთო სახლი, რათა შესაძლებელი გახდეს იმპერიის დესტრუქციის შეჩერება, რომელიც გამოიხატება ჰელსინკი – 2 თათბირის წელსვე მოწვევის მცდელობაში, თუნდაც პოტსდამის გადაწყვეტილებათა არსებითი რევიზიის ხარჯზე. მიუხედავად მავანთა მცდელობისა აქ მაინც წამოტივტივდება ჩახლართულ ინტერესთა მთელი წყება რომელთა განხილვა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

მეორე მსოფლიო ომის შედეგია ის ორპოლუსიანი დაპირისპირებულობა, რომლის პირობებშიც რამდენადმე დაძაბულად, მაგრამ მაინც მდორედ მიედინებოდა ევროპის ცხოვრება. მაქსიმალურ გათიშულობაზე დამყარებულ სტაბილურობის მიღმა არსებობდნენ პრობლემები რომელთა მიჩუმათება ვეღარ ხერხდება.

საუკუნეთა განმავლობაში ევროპის პოლიტიკა, ომი და მშვიდობა ინტერესთა მრავალმხრივობით საზრდობდა. გერმანია ყოველთვის ცდილობდა პოლიტიკურადაც გაეცენტრალურებინა თავისი გეოგრაფიული მდებარეობა. ეს ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის წინააღმდეგობას აწყდებოდა. ინგლისს არ სურდა კონტინენტზე მძლავრი ქვეყნის არსებობა. რუსეთი მრავალეროვანი იმპერიის შენარჩუნებისათვის და ბალკანეთში პარპაშისათვის სახიფათოდ თვლიდა გერმანიას, ხოლო საფრანგეთს საკუთარი ამბიციები გააჩნდა ევროპის ლიდერობაზე. ყოველივე ზემოთ თქმული მხოლოდ უზოგადესი და მეტად არასრული შეფასებაა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში დამყარდა ე.წ. ვერსალის სისტემა. 1919 წლის ვერსალის საზავო ხელშეკრულებით გერმანიამ საფრანგეთს დაუბრუნა ელზასი და ლოთარინგია, ბელგიას რიგი სასაზღვრო ტერიტორია, პოლონეთს პოზნანი, ბალტიის ზღვაზე გასასვლელი და დასავლეთ პრუსიის ტერიტორიის ნაწილები; ქ. დანციგი (გდანსკი) "თავისუფალ" ქალაქად გამოცხადდა, ქ. მემელი (კლაიპედა) 1923 წელს ლიტვას შეუერთდა. ჩეხოსლოვაკიას სილეზიის მცირეოდენი ტერიტორია გადაეცა, ხოლო ზემო სილეზიის ნაწილი 1921 წლის პლებისციტით პოლონეთს მიეკუთვნა; ზაარის ოლქი 15 წლით ერთა ლიგას გადაეცა, შლეზვიგის ნაწილი კი დანიას, 1920 წლის პლებისციტით. დაიშალა ავსტრო – უნგრეთის იმპერია. წარმოიქმნა ჩეხოსლოვაკია. სახელმწიფოებრიობა მიიღეს ფინეთმა, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა. უნგრეთმა დაკარგა ტერიტორიის ორი მესამედი, რის გამოც ყოველი მესამე უნგრელი, უნგრეთის სახელმწიფოს გარეთ აღმოჩნდა. ეს პირველ რიგში ითქმის რუმინეთის მფლობელობაში გადასულ ტრანსილვანიის მიმართ, სადაც რუმინელთა გარემოცვაში მნიშვნელოვანი რაოდენობით სახლობს უნგრელთა ეთნიური ჯგუფი სეკლერები. ამ კარპატულ ყარაბახში ამჟამად კრიზისული სიტუაციაა, ასეთივე მდგომარეობაა სლოვაკიის სამხრეთსა და იუგოსლავიის ავტონომიურ მხარე ვოევოდინაში უნგრული უმცირესობის მიზებით.

ავსტრიამ დაკარგა სამხრეთ ტიროლი, ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელი; ბულგარეთმა სერბიის მოსაზღვრე რაიონები და ეგეოსის ზღვაზე გასასვლელი. პოლონეთმა რუსეთთან წარმატებული ომის შედეგად ხელთ იგდო დასავლეთ ბელორუსია და ვოლინის მხარე. მის ხელში გადავიდა აღმოსავლეთ გალიცია, ლიტვას წაართვა ვილნიუსის ოლქი. ამრიგად, პოლონეთის ტერიტორია 1920 წლის პარიზის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. ამ და სხვა ცვლილებების შენარჩუნებისათვის ჩეხოსლოვაკიამ, რუმინეთმა და იუგოსლავიამ შექმნეს ე.წ. მცირე ანტანტა, რომელიც პოლონეთთან ერთად ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონობას ემსახურებოდა და გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამაზე იყო აგებული ვერსალის სისტემა. ნიშანდობლივია, რომ ამჟამად გაცხოველებულია აღნიშნულ სახელმწიფოთა კონტაქტები საფრანგეთთან.

მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური ინტერესების თანხვდომისა, ვერსალის სისტემა ყოველმხრივ როდი იყო მყარი. ეკონომიკური თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპაში სავაჭრო ჰეგემონია კვლავ გერმანიას დარჩა. 1929 წლის მონაცემებით რუმინეთისა და იუგოსლავიის იმპორტ – ექსპორტის 10-20 %, ხოლო პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ლატვიის, ესტონეთისა და ფინეთის სავაჭრო ბრუნვის 20-40% გერმანიაზე მოდიოდა (სხვათა შორის ლიტვის 40% –ზე მეტი). გამარჯვებულებს იმედი გაუცრუვდათ საფრანგეთისა და ინგლისის გაძლიერების თაობაზე. ოცდაათიანი წლების დასასრულს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კიდევ უფრო მოექცნენ გერმანიის ეკონომიკური გავლენის სფეროში. 1938 წელს გერმანიამ ავსტრია შეიერთა, ხოლო ჩეხოსლოვაკიას გერმანელებით დასახლებული სუდეტები ჩამოართვა. შემდგომ გერმანიის ზეგავლენით ვენის არბიტრაჟის შედეგად ჩრდილოეთ ტრანსილვანია რუმინეთმა უნგრეთს გადასცა. მის ხელშივე გადავიდა სლოვაკიის სამხრეთი ნაწილი და იმიერკარპატეთის უკრაინა. 1939 წელს გერმანიამ და სსრკ-მა პოლონეთი გაიყვეს. იმავე წელს სსრკ-მა ომი გააჩაღა ფინეთის წინააღმდეგ და მას გარკვეული ტერიტორიები ჩამოაჭრა, ხოლო 1940 წელს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ანექსია მოახდინა. იმავე წელს საბჭოთა იმპერიამ მუქარის შედეგად რუმინეთს ჩრდილოეთ ბუკოვინასა და ბესარაბიაზე ააღებინა ხელი.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად გერმანიამ 1937 წლის შემდგომ შეძენილი ტერიტორიების გარდა დაკარგა აღმოსავლეთ პრუსია (გაინაწილეს სსრკ-მა და პოლონეთმა. სსრკ-ს ხელში გადავიდა მნიშვნელოვანი ნავსადგური და ციხე-სიმაგრე – კენიგსბერგი, რომელსაც კალინინგრადი დაარქვეს), პომერანიისა და სილეზიის ვრცელი მიწა-წყალი პოლონეთს გადაეცა. გერმანიის საზღვარმა ოდერსა და ნეისეზე გადაინაცვლა. ხშირად აღნიშნული საზღვრის შენარჩუნებაზეა დღეს ამდენი დაპარაკი.

მსოფლიო ომის შემდგომ ბალტიისპირეთი, დასავლეთ ბელორუსია და უკრაინა საბჭოთა იმპერიას დარჩა. მანვე შეიერთა იმერკარპატეთის უკრაინა, რომელზეც გარკვეული პრეტენზიები შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც უნგრეთს, ისე ჩეხოსლოვაკიას. მანვე განიმტკიცა თავისი მფლობელობა მოლდავეთზე, ხოლო ფინეთს ბარენცის ზღვაზე გასასვლელი წაართვა. აღდგა ჩეხოსლოვაკიის სამხრეთი და რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრები. დობრუჯა ბულგარეთს დაუბრუნდა. აღდგა იუგოსლავია – ეს საბჭოთა კავშირის ერთგვარი ბალკანური ვარიაცია. გავიხსენოთ კოსოვოს პრობლემა, სლოვენიისა და ხორვატეთის ანტისერბული, სეპარატისტული განწყობილებანი. საერთოდ, ველიკოსერბული იუგოსლავიის წარმოშობისა და პოლიტიკის საგანგებო განხილვა, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოიქმნა ახალი რეალობები, რომელთაც ერთობლიობაში შესაძლებელია პოტსდამის სისტემა ვუწოდოთ, რადგან თუ პირველი მსოფლიო ომის შედეგები ძირითადად ვერსალში განისაზღვრა, მეორე მსოფლიო ომისა – შესაბამისად პოტსდამში. აღნიშნული სისტემის, ევროპის ომისშემდგომი საზღვრების უცვლელობა ჰელსინკის პირველმა 1975 წლის 35 სახელმწიფოს თანხმობამ თავის დასკვნით აქტში დაადასტურა. ამჟამად სწორედ პოტსდამის სისტემის რევიზიაზეა დაპარაკი. რამდენად შორს წავა ის? ვეჭვობ, რომ მან საუძვლიანად გადაჭრას ის უამრავი პრობლემა, რომელიც ამჟამად დაგროვდა. ევროპაში დაწყებული პროცესის მეტისმეტად ხელოვნური რეგულირება, ნაჩქარევი ჰელსინკი 2 არსებითად უშედეგო აღმოჩნდება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნული საგარეო პოლიტიკა ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია. ლიტვის დეკლარაციული დამოუკიდებლობა დისონანსურ ფერადობას იძენს ევროპულ კონცერტში. დღეისათვის ჯერაც არ გამოკვეთილა ევროპის მომავალი პოლიტიკური რუკის კონტურები. უამრავი საკითხია მოსაგვარებელი. ბიპოლარულიდან მრავალწახნაგოვან ევროპაზე გადასვლა, უამრავი მიდგომის გადასინჯვას მოითხოვს. ინტერესთა დიდი შეჯახებანი ჯერაც წინაა. რაც მთავარია, ჰელსინკი-2-ის თათბირს ერთიანი გერმანია უნდა მიუჯდეს, როგორც ევროპის ცენტრის ჭეშმარიტი სახე – ევროპის ეკონომიკური გიგანტი. სხვაგვარად, ჰელსინკი-2 იქცევა ვერსალ-2-ად, რაც საათუოს გახდის სამომავლო სტაბილურობას თუნდაც ათწლეულით. ჰელსინკი-2-ის ფორსირება, ვფიქრობ, ამჟამად იმპერიულ ძალებს აძლევს ხელს. კრემლი ყოველმხრივ ეცდება ატლანტის ოკეანის ნაპირებზე ორმოცდაათიან წლებში დაწყებული ევროპის ახალი გაბაფხული (საერთო ბაზრისა და ერთიანი ევროპის იდეის ჩასახვა), რომლის პირველმა მერცხლებმა აღმოსავლეთ ევროპაშიც შეაღწიეს ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს თავისი იმპერიის უშუალო სამანებთან შეაჩეროს, ასევე, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ჩვეული რუსული ზამთრის მეშვეობით. ამისათვის ის შეეცდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთწინააღმდეგობების გამოყენებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ქვეყნებისათვის საბჭოთა იმპერიის, როგორც საერთო მჩაგვრელის ფაქტორი დღესაც უმთავრესია. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ევროპაში რაიმე ახალი საერთაშორისო – სამართლებრივი სისტემის შექმნა ერთიანი გერმანიის პოზიციის გაუთვალისწინებლად აბსურდია. მოსკოვს ამ სისტემის შექმნისას სურს გერმანია მთხოვნელის როლში გამოიყვანოს. ამგვარი სისტემა უდღეური აღმოჩნდება, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ბაზარი უთუოდ უპირველესად გერმანიის იქნება. ამაზე მეტყველებს ტრადიცია, გეოგრაფიული სიახლოვე და ერთიანი გერმანიის მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი. მას ვერც ერთი დიდი სახელმწიფოს ამბიცია ვერ აღუდგება წინ. თვით ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის შემფასებელში გერმანიას ფადგმანის როლი მიენიჭება. ერთიანი გერმანია მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, მოვა დრო და სერიოზულად დაუჭერს მხარს, როგორც ბალტიისპირეთს, ასევე საქართველოსა და უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ერთიანი გერმანიის პერსპექტივებისა და მასთან მიმართებაში რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების ინტერესთა თანხვდენის პრობლემატიკა ცალკე თემისათვის განკუთვნილი საკითხია, რომელსაც, ალბათ, სხვა დროს უფრო დაწვრილებით შევეხებით.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პოლიტიკური და პროგრამული დოკუმენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

პრეამბულა

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის არსებობის მანძილზე თავისუფლება იყო ის უმაღლესი მიზანი, რომლისკენაც შეგნებულად ისწრაფოდა ადამიანთა მოდგმა. თავისუფლება! - ამ სიტყვით გამოხატულ ცნებას არასდროს არ ჰქონია მოპოვებული ისეთი აღიარება, როგორიც მოიპოვა თანამედროვე მსოფლიოში. თავისუფლება არის კრიტერიუმი, რომელსაც დღეს საერთაშორისო სამართალი იყენებს ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული სტატუსის განსაზღვრისათვის, რადგან შეუძლებელია საყოველთაო კეთილდღეობის დამყარება მსოფლიოში, დედამიწაზე მცხოვრები ყოველი ადამიანისა და ერის განთავისუფლების გარეშე.

საუკუნეთა მანძილზე, ეროვნული და რელიგიურ - იდეოლოგიური სხვადასხვაობის ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობების შედეგად იქმნებოდა პოლიტიკური ვითარება, რომელსაც განსაზღვრავდა ძალით დაწინაურებულთა და გამორჩეულთა დიქტატი. ძალმომრეობას ტოტალური ხასიათი ჰქონდა და ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა, მაგრამ, დღევანდელი მსოფლიო შევიდა განვითარების დემოკრატიულ სტადიაში, სამართლიანობამ მოიპოვა რეალური ძალმოსილების მქონე უფლებრივი სტატუსი და დამკვიდრდა საერთაშორისო არსებობის სტრუქტურაში. დემოკრატიის დამყარებამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დეკოლონიზაციისა და ერთა თვითდაფუძნების საყოველთაო პროცესმა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნამ, ადამიანის უფლებების ოფიციალურმა აღიარებამ მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ, კაცობრიობა მიიყვანა ნათელი მომავლის მიჯნამდე, იმ მიჯნამდე, რომლის იქითაც შეუძლებელი გახდება წარმატების მოპოვება პოლიტიკაში, უმაღლესი ზნეობრივი კანონების დაუცველად.

კაცობრიობის მომავალი, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებულ თავისუფალ ერთა თანამეგობრობას უნდა დაემყაროს, ამიტომ, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა -- წმიდათაწმიდა იდეაა! ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა სანუკვარია მათთვის, ვინც ესწრაფვის კაცობრიობის მომავალს, აგებულს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპებზე.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოში მოქმედ დემოკრატიულ და ეროვნულ საზოგადოებრივ -- პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად იბრძოლებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ადამიანის უფლებების დაცვისათვის.

მაღალი ღმერთისა და ხალხის წინაშე ვაღიარებთ ადამიანისა და ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობას, ქართველი ერისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ითვალისწინებს რა 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის ფაქტს, კატეგორიულად არ ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას და პრინციპულად უპირისპირდება მას. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა საქართველოში და საქართველოს ყოფნა სსრ კავშირის შემადგენლობაში მოკლებულია ყოველგვარ გამართლებას, რადგან როგორც ერთი, ისე მეორე ფაქტი, პირდაპირი შედეგია საბჭოთა რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკისა, რომელიც განხორციელდა წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაციით.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიით, ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია. ოციან წლებში, ადგილობრივი მარionეტული საბჭოთა ხელისუფლების უშუალო მონაწილეობით ქვეყანაში უღმობელი ტერორი და მასობრივი რეპრესიები დატრიალდა. სისხლში იქნა ჩახშობილი ეროვნული მოძრაობა. ერთიანად განადგურდა დემოკრატია საზოგადოებრივ -- სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოში დამყარებული რეჟიმის სისასტიკემ განუზომლად გადააჭარბა მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის უღმობლობას. ბოლშევიკურ რუსეთს ქართველი ერის, როგორც ისტორიის სუბიექტის საბოლოო დათრგუნვა ჰქონდა განზრახული, ამას ადასტურებს ის მძიმე შედეგები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას რომ მოჰყვა:

1. ეროვნული დამოუკიდებლობის ე.ი. თავისუფლების დაკარგვა. ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული არმიის ლიკვიდაცია, საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია უცხო ქვეყნის ჯარებით და საქართველოს გადაქცევა უცხო ქვეყნის ადმინისტრაციულ -- ტერიტორიულ ნაწილად.
2. ერთიანი საქართველოს ტერიტორიული ინტერესების უხეში შელახვა -- ეროვნული ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტის უსამართლოდ გადაცემა თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის.
3. საქართველოს დანაწევრება ავტონომიურ სახელმწიფო ფორმირებებად, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ.
4. რუსიფიკაციის, აზერბაიჯანიზაციისა და არმენიზაციის პოლიტიკა. არაქართველი მოსახლეობის ხელოვნურად გაზრდა და ეთნიკური ბალანსის მკვეთრი დარღვევა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების საზიანოდ.
5. ქართველი არისტოკრატიის გენოციდი. ქართველი ინტელიგენციის ყველაზე მაღალკვალიფიციური და აქტიური ნაწილის ლიკვიდაცია, ქართველი გლეხობის ყველაზე უნარიანი და აქტიური ნაწილის მოსპობა რეპრესიების, გზით რამაც მნიშვნელოვანი სოციალურ -- პოლიტიკური უპირატესობა მიანიჭა საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს, რომელთაც ამგვარი რეპრესიები არ შეეხებიათ. მოწინავე მუშების უმეტესობის, პროფესიონალ რევოლუციონერთა მთელი პლეადის უღმობელი დევნა და განადგურება. იმ მიზეზით, რომ მათ არ ჰქონდათ ბოლშევიკური ორიენტაცია.
6. ქართველების სისტემური გასახლება საქართველოს ფარგლებს გარეთ, კატიმართა უწყვეტი და უხვი ნაკადის სახით.
7. ქართველების არაპროპორციული გაყვანა მეორე მსოფლიო ომში, რომელშიც ქართველების მიერ გაღებულმა მსხვერპლმა, პროცენტულად, მნიშვნელოვნად გადააჭარბა სსრ კავშირის შემადგენლობაში მყოფი სხვა ერების მსხვერპლს, მხოლოდ ბელორუსები დაბარაღდნენ ქართველებზე მეტად.
8. სამხრეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის მოწყვეტა ქართველი ერისაგან, მაჰმადიანი ქართველების თურქებად და აზერბაიჯანლებად გამოცხადება, მათთვის, ხელმძღვანელი კადრების აზერბაიჯანიდან შემოყვანა, აზერბაიჯანული სკოლების გახსნის გზით, მაჰმადიანი ქართველების ეროვნული გადაგვარება. მაჰმადიანი ქართველების -- მესხების დეპორტაცია.
9. ქრისტიანული სარწმუნოებისა და ქართული ეკლესიის დევნა -- შევიწროება. ქართველ პატრიარქთა რეპრესირება. ეკლესიებისა და მონასტრების ნგრევა და გაუქმება. მართლმორწმუნეთა და ღვთისმსახურთა დისკრიმინაცია. ათეიზმის საყოველთაო გავრცელება, ღვთისმგმობელი კომუნისტური იდეოლოგიის გაბატონება. ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების დაქვეითება, ერის სულიერი და ზნეობრივი გადაგვარება.
10. ქვეყანაში ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება. დემოკრატიის, პლურალიზმის, პარლამენტარიზმის აღმოფხვრა, პოლიტიკურ -- საზოგადოებრივი მოძრაობის პარალიზაცია, ადამიანის უფლებებისა და ეროვნული სამართლიანობის სისტემატიური დარღვევა და ხელყოფა.
11. ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების პრინციპული უარყოფის დაკანონება. ეროვნული თვითშეგნების ყოველგვარი გამოვლინების გამოცხადება ნაციონალიზმად. ნაციონალიზმის, როგორც ცნების კანონგარეშე გამოცხადება სრულიად უსამართლოდ და დაუსაბუთებლად. ისეთი სოციალური მექანიზმის შექმნა, რომელიც პიროვნებისაგან მოითხოვდა ეროვნული ინტერესებისადმი გულგრილობას, უფრო მეტიც - მტრობას!

საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნარიანთა და უუნაროთა ხელოვნური გათანაბრება, ზნეობრისა და პროფესიული კვალიფიკაციის კატასტროფული დევალვაცია.

12. ეროვნული პასიურობისა და სოციალური ღუთარგიის კულტივირება. ხალხის გადაქცევა ბრბოდ, რომლის ერთადერთ საზრუნავად მატერიალური დოვლათის არაკანონიერი გზით მოხვეჭა იქცა, რადგან გაბატონებული სოციალური სისტემის პირობებში შეუძლებელი გახდა პატიოსანი შრომით მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა.
13. შემოქმედებითი კავშირებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების გადაქცევა ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატის დანამატად. პრივილეგირებულ შემოქმედთა და მეცნიერთა ფენის შექმნა და ამ ხერხით, მათი სულიერი გამოყოფა ხალხისაგან.

ქართველი ხალხის ხელოვნური მოწყვეტა თანამედროვე მსოფლიოსაგან, არაკვალიფიციურობისა და არაკომპეტენტურობის შეგნებული კულტივაცია.

14. ქართველი ხალხის ცხოვრების ტრადიციული წესის უგულებელყოფა. ქართველი ხალხის შინაგანი ბუნებისათვის მიუღებელი სოციალურ -- ეკონომიკური წყობილების ძალმომრეობით დანერგვა და განმტკიცება. საქართველოს ეკონომიკის დაქვემდებარება საკავშირო ინტერესებისადმი, ქართველი ხალხის საზიანოდ.
15. კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიზაცია. საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივი რესურსებისა და მატერიალური დოვლათის სსრ კავშირის საკუთრებად გამოცხადებით, კოლონიალიზმის კონსტიტუციური დამკვიდრება.
16. გლეხური მეურნეობის გაჩანაგება, მიწათმოქმედის გადაქცევა აგრარულ მუშად, საკოლმეურნეო სისტემის შექმნით, კოლონიური, იძულებითი შრომის დამკვიდრება -- ამ გზით, მიწისა და მიწათმოქმედის გათიშვა, რამაც გამოიწვია ტრადიციული სოფლის -- ეროვნული იმუნიტეტის უმთავრესი ბურჯის მოშლა.
17. საქართველოს ეკოსისტემის ბარბაროსული ნგრევა, ეკოლოგიური კატასტროფის შეგნებული დაგეგმვა და განხორციელება.
18. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განუწყვეტელი ხელყოფა.

ეს მოკლე და არასრული კონსტატაცია ეჭვმიუტანელი ფაქტებისა, საკუთარ ნათელჰყოფს იმას, რომ ქართველი ერი, როგორც ისტორიის სუბიექტი, განწირულია დასალუპად, თუ არ მოიკრებს ძალებს, არ მოიპოვებს ეროვნულ დამოუკიდებლობას და არ აღადგენს ქართულ სახელმწიფოებრიობას, რომელიც გაუქმებული იქნა ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს.

ვინაიდან დღეს, საქართველოს არა ჰყავს რეალური უფლებამოსილების მქონე ეროვნული მთავრობა, საქართველოს ეროვნული მოძრაობა, რომელსაც წარმართავენ საქართველოში მოქმედი ოპოზიციური პოლიტიკური საზოგადოებები და პარტიები, თავის უწმინდეს მოვალეობად მიიჩნევს

გამოხატოს ქართველი ერის ნება, დაიცვას მისი ეროვნული ინტერესები და იბრძოლოს მისი კანონიერი უფლებების აღდგენისათვის.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია უარყოფს ყოველგვარ ძალადობას - ტერორს, დივერსიას, შეიარაღებულ აჯანყებას - პარტია იმოქმედებს თანამედროვე კაცობრიობისა და საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული წესებისა და კანონების შესაბამისად. ყოველი ადამიანისა და ერის სრული დამოუკიდებლობა და აბსოლუტური თავისუფლება, მშვიდობის, დემოკრატიისა და კაცთმოყვარეობის საყოველთაო გამარჯვება, კაცობრიობის ჭეშმარიტი ბედნიერება არის და იქნება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიზანი.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ყველაფერს იღონებს ქართველი ხალხის კონსოლიდაციისათვის. ამიტომ, იგი პრინციპულად უჭერს მხარს თავისუფალი, დემოკრატიული და პარიტეტული ეროვნული სათათბიროსა და ეროვნული მოძრაობის საკორდინაციო ცენტრის შექმნის იდეას.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია თავის მხრივ შეეცდება, რომ ეროვნულმა მოძრაობამ კონტაქტები დაამყაროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თავისუფალი სამყაროს პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებებთან. ასევე, ხელს უწყობს სსრ კავშირში მოქმედ ეროვნულ, დემოკრატიულ და ანტიტოტალიტარულ ორგანიზაციათა თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაღრმავების საქმეს.

დაე მაღალი ღმერთი ჰფარავდეს და სწყალობდეს პიროვნებისა და ერის განთავისუფლებისა და კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მებრძოლ დემოკრატიულ, ეროვნულ ძალებს!

სედკ - სამოქმედო პროგრამა.

შესავალი ნაწილი.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია აცხადებს:

1. საქართველო არის სუვერენული ქართველი ერის ისტორიული სამშობლო, სამკვიდრებელი და კუთვნილი ქვეყანა. საქართველო ამჟამად ანექსირებულია რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის - ე.წ. სსრ კავშირის მიერ და საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია ამ იმპერიის ჯარებით.

2. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იყო პირდაპირი შედეგი რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკისა, რომელიც განხორციელდა საბჭოთა რუსეთის მიერ, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების და საქართველოს ანექსიის გზით.

საქართველოს გასაბჭოება იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჩადენილი უბოროტესი დანაშაული - საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა. საქართველოს ყოფნა სსრ კავშირის შემადგენლობაში და საბჭოთა ხელისუფლების არსებობა საქართველოში არის უშუალო გაგრძელება იმ აგრესიისა, რომელიც განახორციელა ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წელს; ამიტომ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია სსრ კავშირს მიიჩნევს აგრესორად, ხოლო საქართველოს - სსრ კავშირის აგრესიის მსხვერპლად.

3. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა უაღრესად მძიმე შედეგები - ქართველი ერი, როგორც ისტორიის სუბიექტი, დადგა ეროვნული კატასტროფის რეალური საშიშროების წინაშე.

ამ განაცხადის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საბჭოთა ხელისუფლების არსებობას საქართველოში მიიჩნევს უდიდეს ისტორიულ უსამართლობად და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს ამ ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას, საქართველოს მიმართ ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის აღკვეთის გზით, რაც ითვალისწინებს:

ა) საქართველოს ტერიტორიიდან სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების გაყვანას სრული შემადგენლობით.

ბ) საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელმწიფოებრივი წესწყობილების გაუქმებასა და ქართველი ხალხის მიერ არჩეული დემოკრატიული ხელისუფლების დამყარებას.

გ) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და დემოკრატიული, რესპუბლიკური, სამართლებრივი ქართული სახელმწიფოს აშენებას.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არის ერთადერთი გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც მოაქცია ქართველი ხალხი ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ. ქართველი ხალხი ეროვნული კატასტროფის წინაშე დგას და ამჟამად ეროვნული ხსნის მხოლოდ ერთი გზა არსებობს - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაუქმება - ამ გზიდან გადახვევა, ამ უწმინდეს მიზანზე უარის თქმა დამღუპველია ქართველი ხალხისათვის და არავითარმა ცვლილებებმა სსრ კავშირის საშინაო პოლიტიკაში, "გარდაქმნის" ლოზუნგით წამოწყებულმა იღუბორულმა რეფორმებმა, ქართველი ერი არ უნდა ააცდინოს ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის დაწყებული ბრძოლის გზას.

ძირითადი ნაწილი

1918 წლის 26 მაისს, თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის შედეგად, ქართველმა ერმა აღადგინა მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა. საქართველო გამოაცხადა სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკად, სამართლებლივი გზით მოახდინა რეალიზაცია ეროვნული ნებისა. სუვერენული ქართული სახელმწიფო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აღიარებული იქნა რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ბოლოს, ცნობილ იქნა ერთა ლიგის მიერ. ერთა ლიგის მიერ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე ცნობა იყო ის სამართლებლივი აქტი, რომლის ძალითაც საქართველომ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო თანაცხოვრების პოლიტიკურ სტრუქტურაში და თავისუფალი ეროვნული განვითარების გზაზე დაწინაურდა იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად.

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა შესძლო საქართველოს დაპყრობა. ამ დანაშაულებრივ აქტს -- რუსეთის მიერ საქართველოს განმეორებით დაპყრობას, ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა და დამპყრობელს უპასუხა 1922 წლისა და 1924 წლის შეიარაღებული აჯანყებებით, რომლებიც სისხლში იქნა ჩახშობილი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოში ძალით დამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლება ქართველ ხალხს არასოდეს ულიარებია არც ბლებისციტით და არც დემოკრატიული არჩევნებით. ფაქტიურად, საქართველო დღემდე იმყოფება რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიასთან ფარული ომის მდგომარეობაში, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერ მთავრობას ბოლშევიკური რუსეთის წინაშე კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. ამგვარად, შვიდი ათეული წლის წინათ, ქართველი ერის მიერ რეალიზებული ეროვნული თვითგამორკვევა და საქართველოს გამოცხადება დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად 1918 წლის 26 მაისს დღესაც ძალაში მყოფი იურიდიული ძალმოსილების მქონე პოლიტიკური აქტია და იგი ხელახალ დადასტურებას არ საჭიროებს არც ბლებისციტით და არც რეფერენდუმით. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას აქვს ისტორიული, იურიდიული, პოლიტიკური და ზნეობრივი უფლება, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, ნებისმიერ დროს მოუწოდოს ქართველ ერს საქართველოს ტერიტორიაზე გაბატონებული არაკანონიერი მთავრობის, ეგრეთწოდებული საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისა და არაშეიარაღებული წინააღმდეგობის გამოცხადებით. სსრ კავშირის უმაღლესი ხელისუფლებისა და მისი მარionეტის, ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლებების მხრიდან ძალის გამოყენება, დაუმორჩილებლობისა და არაშეიარაღებული წინააღმდეგობის დროშის ქვეშ დარაზმული ქართველი ერის მიმართ, უდავოდ ჩაითვლება საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად და იმ აგრესიის გაგრძელებად, რომელიც განახორციელა საქართველოში ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წელს, ხოლო ფარული ომი რომესაც 1921 წლიდან დღემდე აწარმოებს რუსეთის მოდერნიზებული იმპერია ქართველი ხალხის წინააღმდეგ, გადაიზრდება აშკარა, შეუნიღბავ, დამპყრობლურ ომში, რომელიც დასრულდება დამპყრობლის სრული დამარცხებით, რადგან თანამედროვე ისტორიის ბორბალი აღარ ტრიალებს დამპყრობლის სასარგებლოდ და დამპყრობელს, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, უღმობელი ბორბალი ისტორიისა, უეჭველად ქვეშ მოიყოლებს.

პროგრამული მუხლები

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იბრძოლებს საქართველოს განთავისუფლებისა და ეროვნული-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის შემდეგი თანმიმდევრობით:

მუხლი 1. ●

საქართველოში ფართოდ უნდა გაიშალოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს ყველა რეგიონში უნდა ჩატარდეს მასობრივი აქციები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ყოველ სახალხო აქციაზე, იქნება ეს შეკრება, მიტინგი, მანიფესტაცია თუ დემონსტრაცია, აუცილებელია შედგეს ოფიციალური მიმართვები, რეზოლუციები და პეტიციები, რომლებშიც აისახება ჩატარებული აქციების პოლიტიკური შინაარსი - ასეთი დოკუმენტები უნდა ოპერატიულად გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, დემოკრატიული სახელმწიფოების მთავრობებს, საერთაშორისო სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამავე დროს, რეგულარულად უნდა იგზავნებოდეს სახალხო აქციების რეზოლუციები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის კატეგორიული მოთხოვნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და სსრ კავშირის კომპარტიის ცკ-ს პოლიტბიუროში. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, სხვა შეურიგებელ ოპოზიციურ, ეროვნულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა უზრუნველყოს პატრიოტული შინაარსის თვითგამოცემითი ლიტერატურისა და ინფორმაციული ბიულეტენების სწრაფი და ეფექტური გავრცელება მთელს საქართველოში. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ და სხვა შეურიგებელმა ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ საქართველოში მომწიფდეს ქართველი ერის საყოველთაო გაერთიანება დაუმორჩილებლობის იდეით - საჭიროა ამ იდეამ ისეთი მასშტაბით მოიცვას საქართველო, რომ ქართველი ერი გადაიქცეს მობილურ, ერთ მუშტად შეკრულ ორგანიზმად, რომელსაც შეეძლება ერთობლივი პოლიტიკური აქციების ჩატარება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

მუხლი 2 ●

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას, ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროდ მიაჩნია შეურიგებელი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების ერთიანობის ფაქტიური და იურიდიული გაფორმება - ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოებების ერთიანობას უნდა მართავდეს პარიტეტულ პრინციპებზე შექმნილი ეროვნული კომიტეტი, რომელიც შეასრულებს უკომპრომისო, შეურიგებელი ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციებს.

მუხლი 3

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ყოველდღიურად იბრძოლებს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისა და არაშეიარაღებული წინააღმდეგობის მომზადებისათვის. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ყოველივეს იღონებს იმისათვის, რომ დაუმორჩილებლობის პროცესმა მოიცვას სრულიად საქართველო. დაუმორჩილებლობის პროცესი აუცილებლად უნდა გახდეს მართვადი, მკაცრად ორგანიზებული, მოქნილი და გონივრული ტაქტიკის შესაბამისად მოქმედი. დისციპლინამ და ოსტატურმა მანევრირებამ დაუმორჩილებლობის პროცესი პრაქტიკულად ხელშეუხებელი უნდა გახადოს - შეტევა და უკანდახევა ისეთი რიტმული თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს, რომ მოწინააღმდეგეს ძალის გამოყენების არავითარი შანსი არ მიეცეს, ამასთან, შეტევა მხოლოდ ფორმით უნდა განსხვავდებოდეს უკანდახევისაგან და თავისთავად, უკანდახევაც ისეთი დამანგრეველი მნიშვნელობისა და შინაარსის შემცველი უნდა იყოს მოწინააღმდეგისათვის, როგორც შეტევა. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთერთი უმთავრესი საზრუნავი იქნება ის, რომ თავისუფალი სამყარო და საერთაშორისო სამართალი, საქართველოში მიმდინარე დაუმორჩილებლობის პროცესის მუდმივი მეთვალყურე და მოკავშირე გახდეს. დაუმორჩილებლობის პროცესმა საქართველოში უნდა შექმნას ისეთი პოლიტიკური ვითარება, რომლის კონტროლი მოწინააღმდეგის მხრიდან ძალის გამოყენებით შეუძლებელი იქნება - სსრ კავშირის უმაღლესი მთავრობისათვის პოლიტიკურად უფრო მომგებიანი უნდა გახდეს საქართველოს დათმობა, ვიდრე მისი დაკავება სსრ კავშირის შემადგენლობაში ძალით. საკუთარი ნებისყოფისა და საერთაშორისო სამართლის მეოხებით ქართველი ხალხი მიაღწევს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიხილავს და დადებითად გადაწყვეტს საქართველოს საკითხს.

მუხლი 4

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს საკითხის დადებითად გადაწყვეტა გულისხმობს შემდეგს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჩატარებული აქცია უნდა ცნოს შეიარაღებულ აგრესიად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა - აგრესიის გაგრძელებად, რუსეთის მოდერნიზებული იმპერია, ეგრეთწოდებული სსრ კავშირი უნდა გამოაცხადოს აგრესორად და საქართველო - აგრესიის მსხვერპლად. აქედან გამომდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნდა დაისვას საკითხი, საქართველოს მიმართ სსრ კავშირის მიერ განხორციელებული ხანგრძლივი და უწყვეტი აგრესიის აღკვეთის შესახებ. სსრ კავშირს უფლება აქვს ვეტო დაადოს საქართველის საკითხს, მაგრამ სსრ კავშირი ვერ ისარგებლებს ვეტოს უფლებით თუ ამ დროისათვის დაუმორჩილებლობის პროცესი საქართველოში, თავისუფალი სამყაროს თვალწინ, მისი მეთვალყურეობის ქვეშ, მიაღწევს კულმინაციურ ეტაპს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველერს უკვე გამოცხადებული ექნება საყოველთაო არაშეიარაღებული წინააღმდეგობა, ხოლო ეს, საქართველოში არსებული საბჭოთა რეჟიმის მშვიდობიან დამხობას უდრის. სსრ კავშირი, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს საკითხზე ვეტოს დადებით მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ ჯეშმარიტად აგრესორია, რაც მიუღებელია სსრ კავშირის დღევანდელი საგარეო პოლიტიკისათვის და კიდევ უფრო მიუღებელი იქნება უახლოეს მომავალში. ამგვარად, სსრ კავშირისათვის გაცილებით მომგებიანი იქნება აგრესორის როლზე უარის თქმა და საქართველოს საკითხის დადებითად გადაწყვეტის ატანა, ვიდრე ამ საკითხის ბლოკირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მუხლი 5

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას საჭიროდ მიაჩნია, დაუმორჩილებლობის პროცესის კულმინაციურ ეტაპზე - საქართველოში საყოველთაო სახალხო არაშეიარაღებული წინააღმდეგობის გამოცხადების შემდეგ, ეროვნული მოძრაობის ავანგარდისა და მთელი ქართველი ხალხის ძალისხმევით განხორციელდეს შემდეგი პოლიტიკური აქტები:

დემოკრატიული წესით არჩეული იქნას ოპოზიციური მთავრობა, რომლის სრული სახელწოდება იქნება - საქართველოს ოპოზიციური გარდამავალი კოალიციური მთავრობა. ეს მთავრობა უწინამძღვრებს ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას, საქართველოში არსებული, ფაქტიურად გაუქმებული, მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლების იურიდიულად გაუქმებამდე და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, გარდამავალი მთავრობა აღძრავს საკითხს საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შემოყვანისა და საქართველოს ტერიტორიიდან სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობის გაყვანის შესახებ.

გარდამავალი მთავრობა მოიწვევს სრულიად საქართველოს ეროვნულ ყრილობას. ყრილობა იურიდიულად დაადასტურებს მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლების გაუქმებას საქართველოში, აირჩევს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - ეროვნულ კონგრესს (ორპალატიანი პარლამენტს) და საქართველოს გამოაცხადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. კონგრესი გამოსცემს საყოველთაო ამნისტიას და გაათავისუფლებს ყოველ მსჯავრდადებულს. სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა გააუქმებს გარდამავალ მთავრობას და აირჩევს დროებით მთავრობას. დროებითი მთავრობა შექმნის რეგულარულ ეროვნულ არმიასა და ფლოტს, უზრუნველყოფს საქართველოს სუვერენიტეტის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე, ტერიტორიულ წყლებსა და საჰაერო სივრცეზე, განახორციელებს სუვერენული ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკას ეკონომიკის, კულტურის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იშრომებს და იბრძოლებს იმისათვის, რომ დროებითმა მთავრობამ თავისი მისია შეასრულოს.

მუხლი 6

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ სუვერენულ საქართველოს უნდა ეწოდოს: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - უნდა გაუქმდეს მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებული სიმბოლიკა და ჰიმნი, სახელმწიფო სტატუსი უნდა მიენიჭოს ერთიან საქართველოსა და ქართული სამთავროების სიმბოლიკას 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკასა და ჰიმნს. უნდა შეიქმნას ახალი სუვერენული საქართველოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკა და ჰიმნი, უნდა დაწესდეს საქართველოს მოქალაქის სტატუსი და ქართულ პასპორტს მიეცეს საქართველოს მოქალაქის დამამტკიცებელი საერთაშორისო ლეგალიზებული დოკუმენტის მნიშვნელობა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თვალსაზრისით, სუვერენული საქართველოს მოქალაქეებად უნდა მიჩნეულ იქნან მხოლოდ ის პირნი, რომლებიც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიას ქართველი ხალხის საკუთრებად, ხოლო ქართულ ენას - სახელმწიფო ენად, იმის მიუხედავად, არის თუ არ არის ქართული ენა მათი მშობლიური ენა, სათანადოდ შეისწავლიან მას, საკუთარ ნიჭსა და ენერგიას, ნებაყოფლობით მოახმარენ საქართველოს ეროვნულ - სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასა და განმტკიცებას. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები პირნი, რომლებიც ვერ მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას, უნდა სარგებლობდნენ საყოველთაო კანონით გათვალისწინებული სოციალური უფლებებით. უნდა დაარსდეს ეროვნული ბანკი, სავალუტო ხაზინითა და ეროვნული ფულადი სისტემით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქართული ფულის ერთეულის საეთაშორისო პრესტიჟი.

მუხლი 7

ახალი სუვერენული საქართველოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შენებისა და სტრუქტურული ფორმირების პერიოდში, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია განუხრელად იზრუნებს იმისათვის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდეს ჯეშმარიტად დემოკრატიულ, რესპუბლიკურ, სამართლებლივ სახელმწიფოდ. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ ამ დიადი მიზნის მისაღწევად, საჭიროა განხორციელდეს შემდეგი პოლიტიკური აქტები:

1. უნდა შეიქმნას ეროვნული კონსტიტუცია, რომელიც დააკანონებს:

ა) მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას

ბ) ეროვნული კონგრესის /ორპალატიანი პარლამენტის/ უზენაეს საკანონმდებლო უფლებამოსილებას და მისი არჩევნების წესს

გ) სახელმწიფოს მეთაურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლის - პრეზიდენტის სტატუსს და მისი არჩევის წესს

დ) საკუთრების სამ ძირითად ფორმას: ეროვნულ საკუთრებას, კერძო საკუთრებას და საეკლესიო საკუთრებას

ე) რესპუბლიკის მოქალაქის უფლებებს და მოვალეობებს, სინდისის თავისუფლებას, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლებას. ინფორმაციის შეუზღუდავი მიღების უფლებას მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენების, ნააზრევისა და მრწამსის შეუზღუდავი გავრცელების უფლებას

ვ) საკანონმდებლო ხელისუფლების, აღმასრულებელი ხელისუფლების და მართლმსაჯულების ურთიერთგამიჯვნას.

ზ) პიროვნების თავისუფლებისა და მისი ხელშეუხებლობის გარანტიას, უდანაშაულობის პრეზუმფციის უმკაცრეს დაცვას.

თ) ნიჭის, უნარისა და გამომგონებლობის შეუზღუდავი გამოვლინების უფლებას.

ი) სახელმწიფოს მიერ ადამიანის ჩაგვრის აკრძალვას.

კ) პიროვნების დისკრიმინაციის მიზნით კლასობრივი იდეოლოგიის გამოყენების აკრძალვას.

ლ) ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრის აკრძალვას.

მ) ანტიქართული ორიენტაციის მქონე საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ანტიქართული იდეების ქადაგების აკრძალვას საქართველოს ტერიტორიაზე.

ნ) საქართველოში დამკვიდრებული ეროვნული უმცირესობის სოციალური უფლებების დაცვას და მათი სათვისტომოების შეუზღუდავი მოქმედების გარანტიას თუ ასეთი სათვისტომოების მოღვაწეობა ანტიქართულ ხასიათს არ მიიღებს.

ო) შოვინიზმისა და ერთაშორისი სიძულვილის ყოველგვარი გამოვლინების აკრძალვას.

პ) ქართული მართმადიდებელი ეკლესიის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის სახელმწიფოებრივ ზრუნვას.

ჟ) სუვერენული საქართველოს მოქალაქის სტატუსის მქონე მიწათმოქმედის კანონიერი უფლების აღდგენას, რაც ნიშნავს მიწის საშვილიშვილო მფლობელობაში გადაცემას მიწათმოქმედისათვის.

რ) მუშის კანონიერი უფლების დამკვიდრებას, რაც ნიშნავს საწარმოებისა და ფაბრიკა - ქარხნებში აქციონერთა მმართველობის დამყარებას.

ს) შემოქმედებითი კავშირებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ფაქტიურ გამოყოფას სახელმწიფოსაგან და მათს მოღვაწეობაში სახელმწიფოს ჩაურევლობის გარანტიას.

ტ) ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ფაქტიურ განხორციელებას, მის გამოცხადებასა და გამოყენებას ერთაშორისი ურთიერთობის ენად საქართველოს ტერიტორიაზე.

უ) ქართველური ენებისა და დიალექტების დაცვისა და შენარჩუნების გარანტიას. ამ ენებსა და დიალექტებზე შექმნილი ფოლკლორის სისტემურ ფიქსირებასა და გამოცემას, საქართველოს მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურის შესწავლას, აღდგენასა და აღორძინებას.

ფ) მწიგნობრობის თავისუფალი განვითარების გარანტიას.

ქ) ლიტერატორის, ხელოვანისა და მეცნიერის სრული შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიას.

ღ) მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ადამიანური საქმიანობის, კომერციის ლეგალიზაციას, კომერსანტის პროფესიული თავისუფლების გარანტიას.

ყ) ხელოსანთა პროფესიული თავისუფლების გარანტიას.

შ) მეცხვარეთა, მეჯოგეთა და საერთოდ, ტრადიციული მეურნეობის მიმდევართა, ხალხური რწმენის ოსტატთა შრომითი თავისუფლების გარანტიას.

ჩ) ინვალიდთა, სულით ავადმყოფთა, მარუსაფართა დაცვისა და მათზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის დაწესების გარანტია

ც) უპატრონო ბავშვთა აღრზდისა და მათი სოციალური უფლებების სახელმწიფოებრივი დაცვის გარანტიას

ძ) უპატრონო მოხუცების სოციალური უფლებების დაცვისა და მათზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის დაწესების გარანტ

წ) საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველებზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის დაწესებას.

ჯ) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და მატერიალური კულტურის ყოველგვარი ნაშთების სახელმწიფოებრივი დაცვის გარანტიას, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი არაქართული კულტურის ყოველგვარი ძეგლისა და ნაშთის სახელმწიფოებრივი დაცვის გარანტიას.

ხ) საარქივო მასალების დაცვის, მათი თავისუფალი შესწავლისა და შეუზღუდავი გამოქვეყნების სახელმწიფოებრივ გარანტიას.

ჯ) მსჯავრდადებულთათვის ადამიანის საკადრისი პირობების შექმნის გარანტიას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მსჯავრმოხდილთა მიმართ სახელმწიფოებრივი ზრუნვის დაწესებისა და მათი სამოქალაქო უფლებების სრული აღდგენის გარანტიას.

ჰ) საქართველოში ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონის სამუდამო აკრძალვის გარანტიას.

2. უნდა შეიქმნას მიწათმოწყობის კოდექსი, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის კოდექსი, თანამედროვე კაცობრიობის მიერ აღიარებული ზნეობრივი ნორმების შესაბამისად.

3. სუვერენული საქართველოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, დროებითი მთავრობა უნდა გაუქმდეს და არჩეულ იქნეს ნამდვილი მთავრობა, ხოლო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - ეროვნული კონგრესი უნდა განახლდეს და შეივსოს სოყოველთაო სახალხო არჩევნების წესით.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ნამდვილი მთავრობის არჩევის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიიდან გაწვეული უნდა იქნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები.

5. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თვალსაზრისით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უნდა მიაღწიოს სამოკავშირო ხელშეკრულების დადებას ისრაელთან და თავისუფალი სამყაროს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სუვერენული საქართველოს შესვლა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. საქართველოს დამოუკიდებლობის უწმინდესი პრინციპის დასაცავად, ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის პოლიტიკა გამოუსადეგარი იქნება, რადგან საქართველოს უკავია ტერიტორია, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მოსაზღვრე სახელმწიფოებისათვის და პირველ რიგში ისეთი აგრესიული სახელმწიფოსათვის, როგორიც არის სსრ კავშირი.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ უნდა შესძლოს საქართველოს შეყვანა ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომლის წევრიც უნდა გახდეს საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღძრას საკითხი სსრ კავშირისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის, რესტიტუციისა და რეპარაციების დაკისრების შესახებ, რადგან სსრ კავშირი მრავალი ათეული წლების მანძილზე საქართველოს შეუზღუდავ ექსპლოატაციას ეწოდა.

6. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნდა აღძრას საკითხი საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის შესახებ, ერთა ლიგის მიერ დამტკიცებულ საზღვრებში.

7. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იშრომებს და იბრძოლებს იმისათვის, რომ დემოკრატიული, რესპუბლიკური, სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციისა ვერავინ ხელჰყოს - არ დაუშვებს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციისაგან ხელისუფლების უზურპირების ფაქტს. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ყოველივეს იღონებს, რათა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისუფალი განვითარების გზით, ქართველი ერის საკადრისი ადგილი დაიკავოს მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის, საერთაშორისო თანაარსებობის რეალურ სტრუქტურაში.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის დევიზია:

ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისთვის - მოიპოვებს თავისუფლებას!

ჩვენთან არს ღმერთი!

გაუმარჯოს სუვერენულ, დემოკრატიულ, სამართლებრივ და ქრისტიანულ საქართველოს!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პროგრამა მიიღო დამფუძნებელმა ყრილობამ, (25 მარტი 1989 წელი). პროგრამა რედაქტირებული და შევსებული სახით მიიღო პარტიის პირველმა კონგრესმა. (15-17 სექტემბერი 89 წელი)

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წესდება

მუხლი 1.

ა) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არის ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა რადიკალური ნაწილის, ერთიანი პოლიტიკური პლატფორმისა და სტრუქტურის მქონე დემოკრატიული გაერთიანება.

ბ) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მიზნად ისახავს სამართლებრივი, მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი, დემოკრატიული, რესპუბლიკური ქართული სახელმწიფოს აშენებას.

გ) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არის ქართველი ერისა და იმ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური გაერთიანება, რომელთაც საქართველოს მომავალი სრულფასოვანი არსებობის ერთადერთ მისაღებ ფორმად მიაჩნიათ სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი, დემოკრატიული, რესპუბლიკური საქართველო.

მუხლი 2.

ა) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომლის მოწვევა ხდება ორ წელიწადში ერთხელ. კონგრესი იხილავს და გადაწყვეტს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წინაშე მდგარ ყველა საკითხს, იღებს გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. ოთხი წლის ვადით ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს და მთავარ კომიტეტს, სამი წლის ვადით ამტკიცებს წარმომადგენელთა პალატას - პირველადი, ეროვნული, რეგიონული და დარგობრივი ორგანიზაციების არჩევითი წარმომადგენლებისაგან. წარმომადგენელთა პალატაში შედის მთავარი კომიტეტიც.

ბ) კონგრესი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი.

გ) ნებისმიერი საკითხი კონგრესზე წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით.

დ) რიგგარეშე კონგრესის მოწვევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამას ითხოვს პარტიის წევრთა საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 3.

ა) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის უმაღლესი აღმასრულებელი პირია თავმჯდომარე, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო - მთავარი კომიტეტი.

ბ) თავმჯდომარე ირჩევა ღია ან ფარული კენჭისყრით კონგრესის გადაწყვეტილებით. თავმჯდომარე პარტიის პროგრამის, წესდებისა და კონგრესის გადაწყვეტილებათა ფარგლებში, მთავარ კომიტეტთან ერთად ხელმძღვანელობს პარტიის საერთო საქმიანობას.

გ) თავმჯდომარე უფლებამოსილია მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში მოახდინოს ცვლილებები იმ შემთხვევაში თუ მისი გადაწყვეტილება დაადასტურა წარმომადგენელთა პალატამ.

დ) თავმჯდომარე უფლებამოსილია ვეტო დაადოს მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებას, რაც დადასტურებულ უნდა იქნას წარმომადგენელთა პალატის მიერ.

ე) თავმჯდომარეს ეკრძალება მთავარ კომიტეტთან შეთანხმების გარეშე გამოიტანოს რაიმე გადაწყვეტილება. თავმჯდომარე ანგარიშს აბარებს პარტიის კონგრესს. თავმჯდომარე არის მთავარი კომიტეტის წევრი.

ვ) მთავარი კომიტეტი იკრიბება კვირაში ერთხელ. მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილება ძალაშია, როცა მას ესწრება საერთო შემადგენლობის ორი მესამედი. მთავარი კომიტეტი ანგარიშვალდებულია პარტიის კონგრესის წინაშე.

ზ) წარმომადგენელთა პალატა თავმჯდომარესთან და მთავარ კომიტეტთან ერთად იბარებს ანგარიშს პირველადი, რაიონული, რეგიონული და დარგობრივი ორგანიზაციებისაგან.

თ) წარმომადგენელთა პალატა თავმჯდომარესთან და მთავარ კომიტეტთან ერთად მონაწილეობას იღებს მიმდინარე საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტაში.

ი) წარმომადგენელთა პალატის საერთო შემადგენლობის ორი მესამედი თავმჯდომარისა და მთავარი კომიტეტის მონაწილეობით, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება. წარმომადგენელთა პალატა იკრიბება თვეში ერთხელ.

მუხლი 4.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიაში მოქმედებენ მთავარ კომიტეტს დაქვემდებარებული დარგობრივი ორგანიზაციები.

მუხლი 5.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სტრუქტურულ საფუძველს შეადგენს პირველადი ორგანიზაცია რომლის რაოდენობრივი შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს პარტიის 25 წევრს.

ა) პირველადი ორგანიზაცია შედგება პარტიის წევრებისაგან და კანდიდატებისაგან. მისი შექმნა შეუძლია პარტიის ყველა წევრს პარტიის მთავარ, რეგიონულ ან რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით.

ბ) პირველად ორგანიზაციას ხელმძღვანელობს პირველადი კომიტეტი, რომელსაც ირჩევენ პირველად ორგანიზაციაში სამი წევრის შემადგენლობით.

გ) პირველადი ორგანიზაცია უფლებამოსილია პარტიის პროგრამის, წესდებისა და კონგრესის გადაწყვეტილებათა ფარგლებში იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით.

დ) პირველადი ორგანიზაცია, ანგარიშვალდებულია მთავარი კომიტეტისა და წარმომადგენელთა პალატის წინაშე.

მუხლი 6.

პარტიის პირველადი ორგანიზაციები ერთიანდებიან რაიონულ ორგანიზაციად.

ა) რაიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს რაიონული კომიტეტი, რომელსაც ირჩევს საერთო კრება;

ბ) რაიონული ორგანიზაცია უფლებამოსილია პარტიის პროგრამის, წესდებისა და კონგრესის გადაწყვეტილებათა ფარგლებში იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით, გამოსცეს გაზეთი.

გ) რაიონული ორგანიზაცია ანგარიშვალდებულია რეგიონული კომიტეტის, მთავარი კომიტეტის და წარმომადგენელთა პალატის წინაშე.

მუხლი 7.

რაიონული ორგანიზაციები ერთიანდებიან რეგიონულ ორგანიზაციად.

ა) რეგიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს რეგიონული კომიტეტი, რომელიც ირჩევა რეგიონული ორგანიზაციის საერთო კრებაზე.

ბ) რეგიონული ორგანიზაცია უფლებამოსილია ჩაატაროს მასობრივი პოლიტიკური აქციები რეგიონულ პრობლემებთან დაკავშირებით პარტიის პროგრამის, წესდებისა და კონგრესის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. გამოსცეს საკუთარი გაზეთი.

გ) რეგიონული ორგანიზაციისათვის სავალდებულოა მთავარი კომიტეტისა და წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება.

მუხლი 8.

ა) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი შეიძლე-

ბა გახდეს ნებისმიერი სრულწლოვანი ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა, რომელიც იზიარებს მის პროგრამას და წესდებას, ირიცხება რომელიმე პირველად ორგანიზაციაში და ასრულებს პარტიის ხელმძღვანელობის დავალებებს.

ზ) პარტიის წევრს, შეუძლია აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში, უფლებამოსილია მთავარი კომიტეტის, წარმომადგენელთა პალატისა და კონგრესის წინაშე განსახილველად გაიტანოს ნებისმიერი საკითხი.

გ) პარტიის წევრობის დამადასტურებელი საბუთია პარტიის მანდატი.

დ) პარტიის წევრობის კანდიდატი ირიცხება პარტიის რომელიმე პირველად ორგანიზაციაში, იხდის საწევროს და მონაწილეობს პარტიის საქმიანობაში.

ე) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის რიგებში შესვლა ხდება მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, პირველადი ორგანიზაციის კომიტეტის რეკომენდაციით.

ვ) პარტიის წევრი გაყვანილ იქნება პარტიიდან:

1) პროგრამული პრინციპების, დებულებების და საწესდებო მუხლების უხეში დარღვევის;

2) პარტიის ხელმძღვანელობის დავალებების განმეორებით შეუსრულებლობის;

3) ხელისუფლების წინაშე კომპრომისზე წასვლისა და მორალურ - ეთიკური პრინციპების დარღვევის შემთხვევაში.

კონგრესის გადაწყვეტილება ამა თუ იმ წევრის პარტიის რიგებიდან გაყვანის თაობაზე საბოლოოა.

მუხლი 9.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთიანობის დაცვის მიზნით პარტიის შიგნით ფრაქციულობა აკრძალულია.

მუხლი 10. ა) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საფინანსო ფონდს შეადგენს:

1) საწევრო გადასახადები;

2) შემოწირულობები;

3) თვითგამოცემითი ლიტერატურის გავრცელებიდან შემოსული თანხა.

ბ) საწევრო განისაზღვრება 5 მანეთის ოდენობით. პირველადი ორგანიზაციების საწევრო გადასახადების 50 % და შემოწირულობები მთლიანად შვდის პარტიის ცენტრალურ ფონდში.

გ) პარტიის ფულად ფონდს განაგებს შესაბამისი დარგობრივი ორგანიზაციები, რომელიც ვალდებულია სისტემატურად წარუდგინოს ანგარიში მთავარ კომიტეტსა და წარმომადგენელთა პალატას.

მუხლი 11.

ა) პარტიის სიმბოლოა დავით აღმაშენებელის ღერბი, რომელზეც ლეგენდის მიხედვით გამოხატულია რქოსანი რაში, რაშის ირგვლივ გამოსახულია შვიდი მნათობი და ჯვრიანი სამეფო გვირგვინი, როგორც საქართველოს ქრისტიანობის ქვეშ გაერთიანების სიმბოლო.

ბ) პარტიის ჰიმნია ქართული ხალხური სიმღერა "შუმღი მუხასა".

მუხლი 12

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანა შეუძლია მხოლოდ პარტიის კონგრესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

მინდა ყოველივე საუკეთესო ვუსურვო თქვენს პარტიას და ეროვნულ მოძრაობას.

ალექსანდრ ოსიპოვი

პარტია " დემოკრატიული კავშირი "

- როდის შეიქმნა "დემოკრატიული კავშირი" და როგორია მისი დამახასიათებელი თავისებურებანი?

- დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა მოსკოვში 1988 წლის 8 - 9 მაისს. მუშაობის მეორე დღეს სექციებს თავს დაესხა მილიცია და არამოსკოველთა უდიდესი ნაწილი დეპორტირებულ იქნა. ამიტომ ორგკომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტები მიღებულ იქნა მხოლოდ სექციებში. ძირითადი დოკუმენტების მიღება მოხერხდა მხოლოდ მეორე ყრილობაზე ერთი წლის შემდეგ ქ. რიგაში. გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაციას ეწოდოს პოლიტიკური პარტია მიღებულ იქნა პირველ ყრილობაზე. რუსეთის პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე პარტია უჩვეულოა რადგან მასში დაშვებულია ძალიან ფართო იდეური სპექტრი -- დემოკომუნისტებიდან მემარცხენე დემოკრატებამდე.

- გვიამბეთ თქვენი პარტიის შესახებ, მისი მოღვაწეობის არეალზე და იმ სიტუაციაზე რომელშიც გიხდებათ მოქმედება.

- როგორც "დკ"-ს ყრილობამ გვიჩვენა, პარტიის წევრები ე.წ. სსრ კავშირის 130 ქალაქში ცხოვრობენ. "დკ". თავიდანვე იქნებოდა არა რუსულ, არამედ ტრანსნაციონალურ პარტიად; მის დაარსებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს უკრაინის წარმომადგენლებმა. ე.ი. "დ.კ" არის საერთო საიმპერიო პარტია, მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძვლად კოოპერაციული პრინციპები უძევს.

რესპუბლიკათა წარმომადგენლები ხშირად მიგვითითებენ ამ შეუსაბამობაზე, მაგრამ ჩვენ მაინც ვთვლით, რომ ტრანსნაციონალური პარტიის პრინციპი სრულიადაც არ ნიშნავს პარტიის იმპერიულ ხასიათს. პარტიის მესამე ყრილობაზე გამოჩნდა, რომ არც რაოდენობრივად და არც ხარისხობრივად იგი არ იზრდება. ჩვენ მხოლოდ 1500 აქტიური წევრი გვყავს. ეს იმით აიხსნება, რომ პერიფერიებში, რუსეთის სიღრმეში მეტად მძიმე მდგომარეობაა. იქ "დ.კ".-ს წევრები სასტიკ დევნა-შევიწროებას განიცდიან. პარტიული ორგანიზაციები დაკავებულნი არიან საგანმანათლებლო მოღვაწეობით, აგიტაციითა და პროპაგანდით. სხვადასხვა ქალაქებში გამოდის ოცამდე ბეჭდვითი ორგანო. ჩვენ ვატარებთ მასობრივ აქციებს, მიტინგებს და დემონსტრაციებს. ამ აქციებს, როგორც წესი თან ახლავს დარბევა და მისი მონაწილეების დაპატიმრება, ამიტომ ეს აქციები არცთუ ხშირად ტარდება. ჩვენ ვეძებთ სხვადასხვა აუდიტორიებს და გამოვდივართ მათ წინაშე. განსაკუთრებით გამოვიყენეთ წინასაარჩევნო კომპანიის შესაძლებლონი, რომელიც ბოიკოტირებული იყო ჩვენს მიერ.

- გთხოვთ განმარტოთ არჩევნების ბოიკოტირების მოტივები. ამის მიზები ერთპარტიული სისტემა ხომ არ იყო?

- არა, არავითარ შემთხვევაში! ჩვენ ვთვლით, რომ გორბაჩოვი დათანხმდებოდა მრავალპარტიულობის შემოღებას არჩევნებამდე და მან ეს კიდეც გააკეთა. ჩვენი პოზიციები ბევრ რამეში ემთხვევა ქართული რადიკალური მოძრაობის არსს. სისტემა, რომელიც დამყარდა იმპერიაში, იყო არალეგიტიმური, უკანონო. მისი სტრუქტურების განახლება, რომელსაც სცდილობს გორბაჩოვი გარდაქმნის პერიოდში, არის დანაშაულებრივი სისტემის განახლება და სრულყოფა. ჩვენ არ უნდა ავიტკიოთ თავი იმით, თუ როგორ აპირებს თავის გადარჩენას დანაშაულებრივი სისტემა. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციური მოზრაობის საქმე არ უნდა იყოს გორბაჩოვისათვის ხელის შეწყობა დანაშაულებრივი სისტემის ლეგიტიმირებაში. ლეევანდელ პირობებში არც მრავალპარტიულობის შემოღება, არც პრესის თავისუფლების გამოცხადება, არც თავისუფალი პროფკავშირები სისტემის არსს ვერ ცვლიან. არსი უფრო ღრმაა. გარდაქმნაში მონაწილეობის მიღება დემოკრატიული მოძრაობის კრახს გამოიწვევს; შევა რა არსებულ სტრუქტურებში, მოხსნის კომუნისტურ პარტიას პასუხისმგებლობას დანაშაულებებისათვის, რომელსაც კომპარტია ჩადიოდა, ჩადის და მომავალშიც ჩაიდენს; გაინაწილებს პასუხისმგებლობას ეკონომიკის მოშლისათვის, აგრეთვე სხვა სფეროებში ჩავარდნებისათვის და სანაცვლოდ ვერავითარ რეალურ ძალაუფლებას ვერ მიიღებს.

- რა გზას ისახავთ ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობის მისაღწევად?

-- ჩვენი სტრატეგია და ტაქტიკა დაახლოებით თანხვდება საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის სტრატეგიას და ტაქტიკას. ჩვენ ვთვლით, რომ არსებულ სტრუქტურებში მონაწილეობა, რომელსაც გვთავაზობს დანაშაულებრივი სისტემა, შეუძლებელია. აუცილებელია ხელისუფლების ალტერნატიული სტრუქტურების შექმნა; მაგრამ თუ დავუბრუნდებით იმ დისკუსიას რომელიც დღეს გაიმართა კონგრესზე (იგულისხმება სედპ მე-2 კონგრესი) შეიძლება ითქვას, რომ დაპარაკია არა სახელმწიფო, არამედ საზოგადოებრივ ხელისუფლებაზე. ეს კი ორი სრულიად განსხვავებული რამეა. ჩვენ საზოგადოებრივი ხელისუფლების ალტერნატიული სტრუქტურების შექმნისათვის ვიბრძვით. ხელისუფლებისათვის, რომლის სიძლიერე მდგომარეობს სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში; არა შეიარაღებულ რაზმებში, არა ტერორისტულ ჯგუფებში, არამედ სწორედ სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში. თუ საზოგადოება აღარ ემორჩილება ხელისუფლებას, მაშინ ასეთი ხელისუფლება იშლება, რაც დადასტურდა აღმოსავლეთ ევროპის მაგალითით. იქმნება ორხელისუფლებიანობა, როგორსაც ვხედავთ ახლა ესტონეთში. უხეშად რომ ვთქვათ, ხელისუფლებას სურს ალტერნატიული სტრუქტურის გარეკვა, მაგრამ ვერ ახერხებს ამას. ჩვენ არ გაგვაჩნია არც ძალა და არც სურვილი, რომ ხელისუფლებას შევუტიოთ და გავრეკოთ ის. ჩვენ არ ვაქცევთ ყურადღებას ოფიციალურ სახელმწიფოს და წყნარად ვკრებთ საკუთარ სტრუქტურებს; ვატარებთ არჩევნებს; ვქმნით დამფუძნებელ კრებას. იმის კვალობაზე, რომ საზოგადოების სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი გადადის ალტერნატიული ხელისუფლების მხარეზე, ხდება ოფიციალური სახელმწიფო ხელისუფლების თვითდაშლა. იგი იძულებული ხდება ან დიალოგზე წავიდეს, როგორც ეს მოხდა პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ან დიკვიდირდება და ხელისუფლება მთლიანად გადადის დროებითი ან გარდამავალი მთავრობის ხელში. ამის შემდეგ მუშაობს დამფუძნებელი კრება და ქვევიდან - თავიდან ბოლომდე ააწყობს ყველა სტრუქტურას - როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივი ძალაუფლებისას.

- მიტინგებისთვის რატომ ირჩევთ ყოველთვის პუშკინის მოედანს?

- პუშკინის მოედანი? -- ეს ძველი დისიდენტური ტრადიციაა. პუშკინის მოედანზე 1965 წლიდან გამოდიოდნენ დისიდენტები. "პამიატმა" რამოდენიმეჯერ სცადა ჩვენი იქედან გაძევება, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. ამასთან, ეს ქალაქის ცენტრია, სადაც ბევრი პატარა ქუჩაა, რომელთა ოპერატიულად გადაკეტვას მილიცია ვერ ახერხებს. მოკლედ, ეს საუკეთესო ადგილია მოსკოვში მიტინგისათვის, რა თქმა უნდა წითელი მოედნის შემდეგ.

- შეაფასეთ სედპ - ს მეორე კონგრესი და საერთოდ, როგორც გარეშე დამკვირვებელმა, მოვლენები საქართველოში.

- ჩვენ ძლიერ გაგვიხარდა, როდესაც მივიღეთ მოწვევა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მეორე კონგრესზე. წარმოდგენა არ გვქონდა, რა მოხდა აქ იანვრის მასობრივი აქციების შემდეგ. ჩვენი აზრით, თქვენთან სიტუაცია უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ესტონეთში, ვინაიდან აქ კომუნისტურმა პარტიამ წააგო, და ფაქტიურად არ არსებობს ცენტრისტული სტრუქტურები, რომლებიც კოლაბორაციონისტულ ხაზს გაატარებენ. რადიკალური ორგანიზაციები ერთ საერთო პლატფორმაზე დგანან და მათ შორის არ არის უთანხმოება. ეროვნული ფორუმი ის სტრუქტურაა, რომელსაც შეუძლია წაიყოლიოს ხალხი. ღმერთმა ქნას, რომ იმპერიამ იგემოს დარტყმა სწორედ აქ თუ ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა და საქართველო გამოვენ ერთიანი ფრონტით, და მათი გათიშვა არ მოხურხდება, გორბაჩოვი იძულებული გახდება დათმობაზე წავიდეს. თუმცა, რჩება ძალიან ბევრი საჭირბოროტო საკითხი: შეძლებს თუ არა ეროვნული ფორუმი მცირე დროში ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები ეროვნული არჩევნებისათვის და შექმნას მართლა მომუშავე ლეგიტიმური სტრუქტურა, ხომ არ ჩაშლის ამ პროცესებს ეთნოკრიზისები, როგორი რეაგირება მოჰყვება ამ პროცესებს ინტერნაციონალურ რეგიონებში - აფხაზეთში, ოსეთში და ა.შ. სამოქალაქო ომის პროვოცირება ძალზე იოლია, ხოლო ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ძალზე რთული. მინდა ყოველივე საუკეთესო ვუსურვო თქვენს პარტიას და მთლიანად ეროვნულ მოძრაობას.

მცირე განმარტება

ბოლო ხანებში საქართველოს სსრ მარიონეტულ ხელისუფლებასა და სსრკ-ის მთავრობას ძალზე ხშირად იხსენიებენ დე ფაქტოდ არსებულ ინსტიტუტებად. ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება დასაშვები იყოს ჩვენში ვითომ პარლამენტური გზით მებრძოლ, სინამდვილეში კი კოლაბორაციონისტულ პოზიციაზე მდგარი ორგანიზაციებისათვის, მაგრამ სრულიად მიუღებელია შეურიგებელი, რადიკალური, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით მებრძოლი ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისათვის.

ხშირ შემთხვევაში იგრძნობა, რომ ზემოთ აღნიშნული ორივე მიმდინარეობა სულ სხვა მნიშვნელობით იხსენიებს ხოლმე საზიზღარ რეჟიმებს. ამიტომ თავს უფლებას მივცემთ განვმარტოთ, რომ საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობის მხოლოდ ორ სახეს აღიარებს - არაოფიციალურს და ოფიციალურს.

არაოფიციალური ანუ ფაქტიური (საქმიანი) ანუ ცნობა ad hoc ცნობის ისეთი სახეა, როდესაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი (უხშირესად სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვ.) ახლად შექმნილ სახელმწიფოსთან (მთავრობასთან) ამყარებს მხოლოდ საქმიან კავშირს, აქვს მასთან კონტაქტები მხოლოდ განსაზღვრულ საკითხებზე, მაგრამ აცხადებს, რომ ოფიციალურად არ ცნობს მას.

ფაქტიური (საქმიანი) ცნობისაგან განსხვავებით ოფიციალური ცნობა, ცნობის ისეთი სახეა, როდესაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობის შესახებ იქმნება შესაბამისი დოკუმენტი იმ მხარისაგან, რომელიც აღიარებს ახალ სუბიექტს.

ოფიციალური ცნობა არის ორი სახის - დე ფაქტო (de facto) და დე იურე (de jure)

დე ფაქტო ცნობისას ახალი სახელმწიფო (მთავრობა) იცნობა, როგორც ფაქტიურად არსებული, მაგრამ მასთან არ ამყარებენ დიპლომატიურ და ზოგჯერ საკონსულო ურთიერთობასაც კი. დე ფაქტო ცნობას აქვს დროებითი, არასტაბილური, გარდამავალი ხასიათი; იგი შეიძლება უარყოფილ იქნეს ანდა როგორც წესი, დე იურედ ცნობის ეტაპს წარმოადგენს. აქვე ვიტყვით, რომ უკანასკნელ ხანებში დე ფაქტო ცნობა თითქმის აღარ გვხვდება პრაქტიკაში.

დე იურე ცნობა ქმნის საერთაშორისო სამართლის ახალ სუბიექტს, მისი სრული კანონიერებისა და უფლებამოსილების აღიარებით, რაც ფორმდება შესაბამისი დოკუმენტებით.

საქართველოს რადიკალური ეროვნულ - პოლიტიკური ორგანიზაციები და მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, კატეგორიულად არ ცნობს საბჭოთა ხელისუფლებას, მის კანონიერებას საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს ყოფნას ე.წ. სსრკ-ის შემადგენლობაში; ამიტომ ყოველივე თქმულიდან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ ჩვენი და ყველა პატრიოტი ქართველის დამოკიდებულება საქართველოს მარიონეტული ხელისუფლებისა და მისი სუზერენისადმი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს დე ფაქტო, ე.ი. ოფიციალური. ჩვენს ურთიერთობას მათთან შეიძლება მხოლოდა მხოლოდ ფაქტიური (საქმიანი) ad hoc ხასიათი ჰქონდეს და აქვს კიდეც.

ბუტა ტალახაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-21 წ.) ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში



ციტატა

„... ბალტიისპირელმა დეპუტატებმა შეძლეს მიეღწიათ მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულების პოლიტიკური და იურიდიული შეფასების კომისიის შექმნისათვის, იმ პაქტის შესახებ, რომელმაც ხელ-ფეხი გაუხსნა ბოლშევიკურ რუსეთს და კომუნისტურ კაბალაში გაახვია თავისუფლებისმოყვარე ბალტიისპირელი ერები. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველასათვის ნათელია, რომ მიუხედავად იმისა თუ რა დასკვნას გამოიტანს ეს კომისია, ყრილობის მიერ უკუგდებული იქნება ბალტიისპირელთა ყველა ცდა მიაღწიონ საბჭოთა პარლამენტური გზით თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობას."

სდპ "ბიულეტენი" N 1 21.06.89



IN THIS ISSUE

"Independence"-the Central Newspaper of the National Independence Party Georgia

Issue No 2
April 20, 1990

The first page presents the report of manifestation and meeting devoted to the first anniversary of the bloody massacre of April 9. Here is also published the appeal to the Georgian young men to boycott and repudiate the service in the Soviet occupational army.

The following is of importance in the colbmn of chronicle: the information on the demonstration and meeting held under the slogan: "The occupants go away!" before the headquarters of the Transcaucasian Military Region and dedicated to the first anniversary of All-Georgia National action of April 4-9, 1989. On the same day, April 9 the 60000 people took part in the meeting held on the National Stadium of Tbilisi: the participants of the meeting supported the position of National Forum on the restoration of the state independence of Georgia.

The second page presents the article by Irakli Shelia "Helsinki-2" (hasty creation of "Common Europian Home").

The programme of the National Independence Party of Georgia and the Party Rules are published on pages 3-7.

On the 7th page is an interview with mr. Alexander Osipov, member of the Moscow organisation of the party of "Democratic Union".

On the 8th page is published the article by Buta Talakhadze "small explanation", concerning a question of the International Law. Here is the map of the Democratic Republic of Georgia (1918-1921) in the frondiers recognized by the League of Nations. The caricature of the Murad Garibi unmarks the Kremlin sOVEREIGNS TRYING TO subdue aspiration of Georgia to independence by enhindling hatred between nations.

Our address:

Georgian National Independence Party
newspaper "Independence".
Rustaveli Ave. 29, Tbilisi
380008 , GEORGIA
Phone: (8832) 937414
Fax: (8832) 225541

რ ე დ ა ქ ც ი ა: კოტე ზაზუნაშვილი, ვაჟა კილაძე, ბუტა ტალახაძე, მამუკა ცაგარელი, მერაბ შარაშენიძე, ირაკლი შელია.

მხატ. მურად ღარიბი ტექნ. ხელმძ. ლევან ყენია

მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი 380008, რუსთაველის გამზ. 29
ტელეფონი: 93 74 14 ტელეფაქსი: 225 541

ფასი 30 კაპ